



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულ მშვიდობიან დემონსტრანტებს და გვირგვინით შეამკეს მათი მემორიალი.

21 წელიწადი გავიდა იმ დღის შემდეგ, რაც რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი დემონსტრანტები საბჭოთა კავშირის ჯარმა სასტიკად დაარბია. გამოყენებული იყო სასანგრე ნიჩბები, ხელკეტები და დღემდე დაუდგენელი

ქიმიური აირი. ადგილზე 17 ადამიანი დაიღუპა. მომდევნო დღეებში, მიღებული ტრავმების შედეგად, კიდევ 4 გარდაიცვალა. უამრავი ადამიანი მოიწამლა. დაღუპულთაგან 17 ქალი იყო.

9 აპრილის დემონსტრაციის მონაწილეთა მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირის შემაღენლობიდან მისი გამოსვლა იყო. საბჭოთა არმია რუსი გენერალ-პოკლოვნიკის იგორ როდიონოვის ხელმძღვანელობით 8 აპრილს, საღამოს გამოჩნდა რუსთაველის გამზირზე. საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოწოდების მიუხედავად, დემონსტრანტები არ დაიშალნენ. 3:45 საათზე კი დარბევა დაიწყო.

9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეა.